

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ქიმიური ტექნოლოგიის და მეტალურგიის ფაკულტეტი
სილიკატების ტექნოლოგიის მიმართულება (№35)

სტუ-ს საგრანტო
პროექტი № 4

პროექტის დასახელება

საქართველოს მნიშვნელოვანი და სოციალური
მეცნიერების განვითარებისთვის საჭირო პრეს-
ცემანურების და თვითდაწყები წყალგაზმუნარი
ბეჭონების მიზანა და კვლევა

(დამამთავრებელი ანგარიში)

პროექტის ხელმძღვანელი
ტ.მ.დ., პროფესორი

————— თამაზ გაბადაძე

პროექტის მენეჯერი
ტ.მ.პ., პროფესორი

————— ირაკლი სულაძე

თბილისი, 2014

ს ა რ ჩ ე გ ი

შესავალი

3

I ნაწილი

1. უჯდომადი და სწრაფმაგრებადი ცემენტების გამოყენება პიდროტექნიკურ-

სამელიორაციო-წყალმომარაგების სისტემების ნაკეთობათა მოდელების
დასამზადებლად

8

1.1. „პაიდელბერგცემენტის” კასპის და რუსთავის ცემენტის ქარხნებში

ტექნოლოგიური სიახლეებით მიღებული ცემენტების ბაზაზე

სპეცბეტონების შედგენილობის შერჩევა და კვლევა

9

1.2. რუსთავის სწრაფმაგრებადი ცემენტის ბაზაზე მიღებული ბეტონის

თვისებები (დამზადებულია ბეტონის დარის მოდელი)

13

1.3. სწრაფმაგრებადი ბეტონის თვისებები ქვიშის მცირე რაოდენობით

შემცველობის შემთხვევებისთვის

(დამზადებულია ბეტონის მილის მოდელი)

15

1.4. არმირებული რკინაბეტონის ფილის მოდელი სწრაფმაგრებადი

ცემენტის და ბეტონის ბაზაზე

18

ნაწილი II

2. გაფართოებადი პრეს-ცემენტების და პრეს-ბეტონების მიღება

20

2.1. ლითონის მძლავრი პერმეტული ახალი სახის ფორმები, რომლებიც

ზღუდავენ ცემენტის და ბეტონის (ბ3 და ბბ) გაფართოებას ყველა (სამი)

მიმართულებით

21

2.2. გაფართოებადი კომპონენტების, ცემენტების და ბეტონების

მიღება და მათი თვისებები

28

2.3. პრეს-ცემენტების ბაზაზე პრეს-დუღაბის და პრეს-ბეტონის მიღება

29

დასკვნები

32

დანართები

36

შესავალი

წარმოდგენილი სამუშაო შეეხება სტუ-ს გამოყენებითი საგრანტო ნომინაციის საპროექტო წინადადების №4 2013წ. შესრულებას თემაზე „ საქართველოს ენერგეტიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის საჭირო პრეს-ცემენტების და თვითდაწნებილი წყალგაუმტარი ბეტონების მიღება და კვლევა”.

ხელშეკრულება გაფორმებულია 6 თვით, 2013 წლის ოქტომბრიდან 2014 წლის მარტის ბოლომდე. დაფინანსება შეადგენს 10 ათას ლარს (ვითხოვდით პროგრამის სრულ შესრულებას ერთი წლით, 30 ათასი ლარის დაფინანსებით).

სამუშაო შესრულებულია 2 ეტაპად 3-3 თვით თითოეული მათგანი. რექტორატში წარდგენილია შესაბამისი 2 შუალედური ანგარიში.

პრობლემა შეეხება სოფლის მეურნეობის სამელიორაციო სისტემების და ჰიდროენერგეტიკული მშენებლობის განვითარების ხელშეწყობას.

ცნობილია, რომ ენერგეტიკა და სოფლის მეურნეობა ითვლება საქართველოს განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებად.

ჰიდროენერგეტიკული მშენებლობა და მელიორაცია წარმოადგენენ აღნიშნული პრიორიტეტული მიმართულებების განხორციელების ძირითად საშუალებებს.

ჰიდროტექნიკურ მშენებლობაში დიდი მნიშვნელობა ეძლევა ახალი ჰქმების მშენებლობას და ენგურჰეს-ის ძირითადი სადაწნეო გვირაბის აღდგენა-რეაბილიტაციას (2014 და შემდგომ წლებში).

სამელიორაციო სისტემების აღდგენა და ახლის მშენებლობა აგრეთვე ითვლება უპირველეს ამოცანად. ეს პროცესი უკვე დაწყებულია და გაგრძელდება უახლოესი 4-5 წლის განმავლობაში და შემდგომ ეტაპზეც.

ჰიდროტექნიკურ-სამელიორაციო მონოლითურ მშენებლობაში ვრცელდება დატკეპნილი ბეტონის გამოყენება (დატკეპნა წარმოებს ვიბრო-დამტკეპნი მძიმე სპეციალური მანქანებით). წყალგაუმტარი ბეტონის ნაკეთობების წარმოება კი რთული და ძვირი პროცესია და მოითხოვს ნაკეთობების წყლის ორთქლით ხანგრძლივ დამუშავებას, რისთვისაც საჭიროა საქვაბეების აგება, სათბობის, ელექტროგიის, ორთქლის დიდი რაოდენობით ხარჯი, მაღალკვალიფიციური მომსახურე პერსონალის მოზიდვა (ან აღზრდა), დასაქმება და სხვა.

სტუ-ს სილიკატების ტექნოლოგიის მიმართულებას (კათედრა №35) აქვს ურთიერთობა ენერგეტიკის და სოფლის მეურნეობის სამინისტროებთან, ენგურჰეს-

ის, აჭარის პესების, მტკვარ-პესის და სამელიორაციო კომპანიების ხელმძღვანელობასთან, რის შედეგადაც იკვეთება გაფართოებადი ცემენტების გამოყენების პერსპექტივები, კერძოდ:

- სამელიორაციო სისტემებში წყალგაუმტარი დარების და არხის რკინაბეტონის ფილების დასამზადებლად, ხვრელების, ბზარების და შოვების შესავსებად (მრავალ ათეულ კილომეტრზე) და სხვა,
- ენგურ-პესის სადაწნეო გვირაბის აღსაღენად თვითდაძაბული ბეტონის გამოყენებით,
- მტკვარ-პესის გვირაბისთვის წყალგაუმტარი თვითდაწნებილი ნაკეთობების დასამზადებლად.

ყველა ადნიშნულ შემთხვევაში მიზანშეწონილია გაფართოებადი პრეს-ცემენტის გამოყენება თვითდაწნებილი წყალგაუმტარი ბეტონის მისაღებად, რაც გათვალისწინებულია ადნიშნულ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოში.

პრობლემა შეეხება პიდროტექნიკურ-სამელიორაციო მშენებლობაში წყალგაუმტარი ნაკეთობების წარმოებას და მონოლითურ მშენებლობას.

არსებული სამელიორაციო სისტემების აღდგენისა და ახლის მშენებლობისთვის საჭიროა დიდი რაოდენობის რკინაბეტონის დარების და წინასწარ დაძაბული რკინაბეტონის არხის ფილების დამზადება (თითოეულის სიგრძეა 6 მეტრი, ყოველ კილომეტრზე საჭიროა 167 ცალი დარი და 501 ცალი ფილა, მათგან 334 ცალი არხის ორ გვერდზე და 167 ცალი არხის ძირზე). სავარაუდო, უახლოეს პერიოდში ყოველწლიურად საჭიროა რამდენიმე ათეულ კილომეტრზე დარების და არხის ფილების აღდგენა და ახლის მშენებლობა. მათი დამზადება და მშენებლობის უზრუნველყოფა საჭირო რაოდენობის ადგილობრივი დარებით და ფილებით გადასაჭრელ პრობლემას წარმოადგენს. მით უმეტეს, რომ ამისთვის საჭიროა საქვაბების აგება, სათბობის, წყლის ორთქლის, ელექტროგიის, დამატებითი მუშახელის და სხვა სახის ხარჯის გაწევა.

ადნიშნული მიზნით სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინაშე დასმული იყო საკითხი სპეციალისტების გამოყენების შესახებ, რომელიც დადებითი შეფასებით განხილული იყო „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიაში” (იხ. დანართი 1).

პრობლემის გადასაჭრელად შეთავაზებულია პრეს-ცემენტების გამოყენება წყალგაუმტარი ნაკეთობების დასამზადებლად ყოველმხრივ შეკრულ მძლავრ ლითონის ფორმებში, რომლებშიც ბეტონის სწრაფი გაფართოების გამო მიიღწევა თვითდაწესება, მაღალი სიმტკიცე, სიმკვრივე და წყალგაუმტარებლობა წყლის ორთქლის და საქვაბებების გამოყენების გარეშე. ეს პროცესი შეიძლება განხორციელდეს დია პოლიგონებზეც და მათ შორის მშენებლობის კონკრეტულ ადგილზეც, რაც შეამცირებს დიდ მანძილებზე ნაკეთობათა გადაზიდვის სარჯებს და გამოათავისუფლებს სატრანსპორტო საშუალებებს.

მსგავსი საკითხი შეეხება მტკვარ-ჰეს-ის გვირაბისთვის წყალგაუმტარი ტიუბინგების დამზადებას იქვე ადგილზე უკვე არსებულ ფორმებში (ჯერ-ჯერობით მშენებლობა შეჩერებულია).

1997 წელს ენგურჰეს-ის ძირითადი სადაწესო გვირაბის აღსადგენად გამოყენებულია ჩვენ მიერ დამზადებული გაფართოებადი ცემენტი, რომელიც დღემდე მუშაობს კარგად.

წარმოდგენილი სამუშაოს ძირითადი მიზანია მიღებულ იქნეს ისეთი შედგენილობის გაფართოებადი ბეტონი, რომელიც ყოველმხრივ შეკრულ მძლავრ ლითონის ფორმაში გამაგრების პირველ საათებში ან ერთ დღეში მოგვცემს მაღალ სიმტკიცეს (ისე, რომ შესაძლებელი იყოს ნაკეთობის ამოღება ფორმიდან, ან ფორმის გახსნა და ნაკეთობიდან მისი მოცილება) და სიმკვრივეს, ხოლო შემდგომ დღეებში გამაგრდება უფრო მეტად და დააკმაყოფილებს ამა თუ იმ ნაკეთობისთვის საჭირო კლასის ბეტონის მოთხოვნებს.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად საჭიროა სათანადო დიდი გაფართოების მქონე კომპონენტის და მის ბაზაზე კი – საშუალო სიდიდის გაფართოების მქონე სპეციემენტის მიღება (მათ შორის დია პოლიგონზეც, რიგითი საშენებლო ნაყიდი პორტლანდცემენტის შერევით დამზადებულ გაფართოებად კომპონენტთან).

ასეთივე შერჩევაა საჭირო ენგურჰეს-ის (ან სხვა ჰეს-ების) თვითდაწესებილი ბეტონების მისაღებად, განსაკუთრებით კი – ადგილობრივი წვრილი და მსხვილი შემვსების გამოყენების შემთხვევებისთვის (სამეგრელოს, აჭარის, სამცხე-ჯავახეთის და სხვა რეგიონების მასალათა გათვალისწინებით).

პრობლემის გადასაწყვეტად მთავარია გაფართოებადი კომპონენტის წარმოების ათვისება, რომელიც შესაძლებელია: თბილისის ელმაგალმშენებელ ქარხანაში (მცირე რაოდენობით), კავთისხევის ცემენტის ქარხანაში (დიდი რაოდენობით).

არის სხვა გარიანტებიც, რაც შეიძლება შევთავაზოთ დაინტერესებულ ინვესტორებს.

ჩატარებული სამუშაოს შედეგად დამუშავებულია და შესწავლილია:

- გაფართოებადი კომპონენტების შედგენილობა, გამოწვის რეჟიმები და სხვა ტექნიკური პარამეტრები, თვისებები,
- გაფართოებადი პრეს-ცემენტების შედგენილობა, თვისებები,
- სხვადასხვა შედგენილობის და დანიშნულების გაფართოებადი თვითდაწნებილი ბეტონების თვისებები გამოყენების სფეროების გათვალისწინებით (ნაკეთობის წარმოება, მონოლითური მშენებლობა, გრუნტის დატკეპნა-გამაგრება, შოვების და პზარების შევსება და სხვა).
- პირველად არის მიღებული სხვადასხვა გაფართოების უნარის მქონე პრეს-ცემენტების და პრეს-ბეტონების სიმტკიცეები და სხვა მახასიათებლები სამდერძა მიმართულებით გაფართოების შემზღვდავ გარემოში მათი გამაგრების პირობებში.

საქართველოში დაბალი გაფართოების (0,1-1,0%) მქონე ცემენტი იწარმოება მცირე რაოდენობით (20-30 ტონა/წელ). იგი არ გამოდგება პრეს-ცემენტად და მისგან თვითდაწნებილი ბეტონის მიღება შეუძლებელია, მაგრამ გამოდგება უჯდომადი (უბზარებო) ბეტონის მისაღებად.

გაფართოებადი პრეს-ბეტონის მისაღებად საჭიროა, რომ პრეს-ცემენტის გაფართოება იყოს 5-10-ჯერ მეტი, ხოლო გაფართოებადი კომპონენტის კი – კიდევ უფრო მეტი. ასეთი სახის არც-ერთი მასალა საქართველოში (და ამიერკავკასიაში) არ იწარმოება, თუმცა იგი საჭიროა ახალი აღნიშნული პერსპექტიული მიმართულებების განვითარების მიზნით.

ჩვენ ხელთ არის ენერგეტიკის სამინისტროს მიერ გადმოცემული მასალა, რომლის მიხედვითაც ამერიკელი ახალგაზრდა სპეციალისტები რეკომენდაციას უწევენ სამინისტროს პიდროტექნიკურ მშენებლობაში გაფართოებადი ცემენტების გამოყენების შესახებ, რაც ჩვენ რეალურად გვაქვს გაკეთებული 1997 წელს ენგურ-ჰეს-ის ძირითადი სადაწნეო გვირაბის რეაბილიტაციისთვის, ხოლო ჩვენი შრომა ამ საკითხზე გამოქვეყნებულია ჯერ კიდევ 1971 წელს საკავშირო ჟურნალში „პიდროტექნიკური მშენებლობა“ (იხ. დანართი 2).

წინამდებარე სამუშაოს შესრულების შემდეგ მიღებული დადებითი შედეგები გამოყენებული იქნება პიდროტექნიკურ-სამეცნიერო სისტემებში აღნიშნული მიზნებისთვის.

დამზადებულია 3-ლერძა მიმართულებით დახურული ლითონის მძლავრი ფორმები დარების, მიღების და სიმტკიცეზე გამოსაცდელი ნიმუშების ($5 \times 5 \times 5$ სმ) დასაყალიბებლად.

დაყალიბებულია სხვადასხვა დიამეტრის და სისქის მქონე ბეტონის მიღები და დარები და რკინაბეტონის ფილა.

მიღებულია სწრაფმაგრებადი და მაღალი მარკის ბეტონები, რომელთა სიმტკიცე კუმშვაზე შეადგენს:

- 1 დღე-დამის გამაგრების შემდეგ 150-180,
 - 2 დღე-დამის შემდეგ 300-500 და
 - 28 დღე-დამის შემდეგ 500-700 კგ/სმ².
- მიღებულია დადებითი შედეგები.

I ნაწილი

1. უჯდომადი და სწრაფმაგრებადი ცემენტების გამოყენება პიდროტექნიკურ-სამელიორაციო-წყალმომარაგების სისტემების ნაკეთობათა მოდელების დასამზადებლად

ცნობილია, რომ ამჟამად საქართველოს ეკონომიკის აღმავლობის სამთავრობო პრიორიტეტებს მიმართულებებად ითვლება – სოფლის მეურნეობის, პიდროტენერგეტიკის, მშენებლობის და სხვა დარგების განვითარება.

სოფლის მეურნეობის აღმავლობისთვის აუცილებელია სამელიორაციო სისტემების განვითარება (წყალსაცავები, დარები, მილები, სარწყავ ნაგებობათა არხების ფილები, ტორკრეტ-ბეტონი, სადრენაჟი მილები, დატბორილი და დაჭაობებული გრუნტის შეშრობა-გამაგრება-ლიკვიდაცია და სხვა). მსგავსი ნაკეთობები საჭიროა აგრეთვე, რეგიონული განვითარების სამინისტროს სამშენებლო სამუშაოებისთვისაც.

პიდროტენერგეტიკის განვითარებისთვის აუცილებელია წყალგაუმტარი ბეტონის, გვირაბების ტიუბინგების, დარების, მილების და სხვა ნაკეთობათა დამზადება და აგრეთვე საეციალური პიდროტექნიკური ცემენტების გამოყენება (დაბალ-ტუტეშემცველი, დაბალეგზოთერმული, სულფატმდგრადი და სხვა).

სილიკატების ტექნოლოგიის მიმართულებაზე (კათედრა №35) მუდმივად მიმდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები აღნიშნული (და სხვა) მნიშვნელოვანი პრობლემების თანდათანობით გადაჭრის მიზნით. მაგალითად, მიღებულია წყალგაუმტარი ზესაწრაფმაგრებადი უჯდომადი, გაფართოებადი, დამძაბავი და პრეცემენტები რეგულირებადი გაფართოების უნარით და არაფერებებადი დამანგრეველი მასალები (ეკოლოგიური უსაფრთხოების გათვალისწინებით) მთის ქანების, ფუნდამენტების და ნაგებობათა უსაფრთხოდ დაბზარვისა და დანგრევისთვის.

ეველა აღნიშნულ სპეცმასალას გამოყენების დიდი პერსპექტივა გააჩნია მშენებლობის ტემპის დაწესებისა და სხვადასხვა ახალი მიმართულებების განვითარებისთვის.

1.1. „პაიდელბერგცემენტის” კასპის და რუსთავის ცემენტის ქარხნებში ტექნოლოგიური სიახლეებით მიღებული ცემენტების ბაზაზე სპეცბეტონების შედგენილობის შერჩევა და კვლევა

უკანასკნელი პერიოდში „პაიდელბერგცემენტმა” კასპის და რუსთავის ცემენტის ქარხნებში განახორციელა რამდენიმე სიახლე, რომელთა შედეგადაც გაუმჯობესდა ცემენტის ხარისხი, წინა წლებში მათ მიერვე წარმოებულ ცემენტებთან შედარებით. ეს სიახლეებია.

კასპის ცემენტის ქარხანაში (პირველად საქართველოში) ცემენტის დაფქვის წისქვილთან დაიდგა სეპარატორი, რომლის დანიშნულებაა დაფქული ცემენტი დაახარისხოს ფრაქციების (ზომების) მიხედვით ისე, რომ მსხვილი ფრაქცია ისევ უბრუნდება წისქვილს წმინდად დაფქვის მიზნით, ხოლო წვრილი (სასურველი) ფრაქცია მიღის სილოსში რეალიზაციისთვის. ცნობილია, რომ რაც უფრო წმინდად არის დაფქული ცემენტი (გარგვეულ სიდიდემდე), მით უფრო სწრაფად მაგრდება იგი და აქვს მაღალი მარკა. სტანდარტის შესაბამისად რიგითი ცემენტების დაფქვის სიწმინდე შეადგენს 2500-3000 სმ²/გ, ხოლო სწრაფმაგრებადი და მაღალი მარკის ცემენტების კი - 3500-4500 სმ²/გ. დაფქული ცემენტების მარცვლების ზომებია, ძირითადად, 5-80 მეტ (მიკრომეტრი). სეპარატორი იძლევა საშუალებს, რომ გარეგულიროთ სასურველი ფრაქციების შემცველობა მზა ცემენტში, რაც იძლევა ცემენტის თვისებების რეგულირების საშუალებას.

სეპარატორიანი წისქვილები მუშაობებს დახურული ციკლით, მათ გარეშე კი – ლია ციკლით.

გარდა აღნიშნული დადებითი მხარეებისა სეპარატორიან წისქვილში დაფქულ ცემენტებს ახასიათებს უარყოფითი მხარეებიც, კერძოდ:

- მშენებლობაზე წყლის დასხმის შემდეგ ეს ცემენტები შედარებით სწრაფად შეიკვრებიან და გამოიწვევენ ბეტონის სველი ნარევის ნაადრევ შედედებას, რაც ზღუდავს ბეტონის გადატანას შორ მანძილებზე და მათ გატარებას „პომპას” მილებში (მანქანური წესით ბეტონის დაყალიბების თანამედროვე მეთოდია), ამიტომ საჭირო ხდება ორგანული პლასტიფიკატორების და სუპერპლასტიფიკატორების აუცილებელი დამატება, რაც აძვირებს ბეტონს,

- წმინდად დაფქული ცემენტი პლასტიური ბეტონის მიღებისათვის მოითხოვს მეტ წყალს, რაც უარყოფითია, რადგან იზრდება ბეტონის ფორიანობა, ჩაჯდომა (შეკლება), ცოცვადობა და ბზარწარმოქმნა, ზოგჯერ კი – მცირდება სინტენციები და ყინვაგამძლეობა.

რუსთავის ცემენტის ქარხანაში ცემენტის გამაგრების დაჩქარებისა და სიმტკიცის ზრდისთვის, მიმართავენ სხვა ხერხს, კერძოდ: ცემენტის დაფქვის წისქვილში აწოდებენ უმნიშვნელო რაოდენობის ორგანულ დანამატს, რომელიც ხელს უწყობს ცემენტის დაფქვას, მოითხოვს წყლის მცირე რაოდნობას, ზრდის შეკვრის და ბეტონის შედედების ვადებს, ანქარებს გამაგრებას და ზრდის ცემენტის მარკას (რეალურად იწარმოება 500 მარკის ცემენტი).

სეპარატორის დადგმა მოითხოვს მაღალ კაპიტალდაბანდებას (რამდენიმე მილიონი დოლარი), ელექტროენერგიის მუდმივ ხარჯს, კვალიფიციური მომსახურე პერსონალის გამოყენებას და სხვა ხარჯებს.

დაფქვის პროცესში ორგანული დანამატის გამოყენება კი მოითხოვს უმნიშვნელო კაპიტალდაბანდებას, მაგრამ მუდმივ საექსპლოატაციო ხარჯს ამ ორგანული დანამატის შეძენაზე.

აღნიშნული სამრეწველო სიახლეების გათვალისწინებით ჩვენ მიერ დამზადებულია უჯდომადი და გაფართოებადი ცემენტები და ბეტონები კასპის და რუსთავის ცემენტების ბაზაზე.

მიღებული უჯდომადი ბეტონები გამოყენებულია დარების, მილების, ფილების და ტიუბინგების ლაბორატორიული ნიმუშების (მოდელების) დასამზადებლად, რომელთა ფორმები და ზომები ნაჩვენებია სურათებზე (იხ. დანართები). ხოლო ერთ-ერთი ბეტონის დარის მოდელი გადაცემულია მელიორაციის კომპანიაში, სადაც მან მიიღო დადებითი შეფასება.

უჯდომადი და გაფართოებადი ცემენტების და ბეტონების მისაღებად კასპის და რუსთავის სამრეწველო ცემენტებს ემატებოდა გაფართოებადი კომპონენტი სხვადასხვა რაოდენობით (3-10% და მეტი). ეს კომპონენტი მზადდება ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე მომზადებული კაზმის გამოწვით $1100\text{--}1350^{\circ}\text{C}$ -ზე, რაც შეიძლება განხორციელდეს არსებული ცემენტის ქარხების თავისუფალ (დაუტვირთავ) მბრუნავ

დუმელებში (მათ შორის კავთისხევის კერძო ცემენტის ქარხნის მცირე სიმძლავრის მარჯნავ დუმელშიც).

ცხრილში 1 მოცემულია ბეტონის შედგენილობის გავლენა მის თვისებებზე.

რუსთავის ცემენტის ქარხნიდან აღებული იყო რიგითი საქარხნო პორტლანდცემენტი (რათა მოგვეხდინა შედარება კასპის სეპარატორგავლილ ცემენტთან), ხოლო კასპის ცემენტის ქარხნიდან კი – სეპარატორიან წისქვილში მიღებული ცემენტი.

გამოყენებული იყო მდინარის ქვისა (ფრაქცია 5 მმ-ზე ნაკლები) და დამსხვრეული დორდის (ფრაქცია 5-15 მმ).

მზადდებოდა სტანდარტული პრიზმები 40X40X160 მ, რათა სიმტკიცე გამოცდილი ყოფილიყო დუნგაზეც და კუმშვაზეც.

ნიმუშების დაყალიბება ხდებოდა ვიბრომაგიდაზე.

სტანდარტის შესაბამისად ცემენტის ნიმუშები 1 დღე-დამე მაგრდებოდა ჰაერზე (ნესტიან გარემოში), შემდეგ კი – წყალში, ხოლო ბეტონის ნიმუშები – ჰაერზე.

ცხრ. 1-დან ჩანს, რომ კასპის სეპარატორიან წისქვილში დაფქული ცემენტის სიმტკიცე მეტია, ვიდრე რუსთავის ცემენტის ქარხნის რიგითი სამშენებლო ცემენტის, მაგრამ კასპის ეს ცემენტიც არ გამოირჩევა დიდი სიმტკიცით.

ცხრილი 1

ბეტონის შედგენილობის გავლენა მის ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებზე

№	ბეტონის შედგენილობა მასური წილი			წ/ც	სიმტკიცის ზღვარი, კგ/სმ ² , დღე-დამეში								
					დუნგაზე				კუმშვაზე				
	ცემენტი	ქვიშა	დორდი		1	2	3	28	1	2	3	28	
1	1	–	–	0,25	–	–	–	–	210	425	500	930	
2	1	1	1	0,37	26	64	85	>100	120	216	305	480	
3	1	1	2	0,40	29	50	60	>100	110	220	285	400	
4	1	1	3	0,41	17	40	45	90	102	185	252	340	
5	1	–	–	0,26	–	–	–	–	310	470	530	1080	

6	1	1	1	0,38	38	65	85	>100	145	280	450	525
7	1	1	2	0,42	32	60	72	>100	120	276	380	460
8	1	1	3	0,43	24	48	64	>100	105	260	330	400

შენიშვნა: №№1-4 დაყალიბებულია რუსთავის ქარხნის რიგით ცემენტზე, ხოლო №5-8 კასპის სეპარატორგავლილ ცემენტზე.

ბეტონის მშრალი ნარევები 1 წონით ნაწილ ცემენტე შეიცავდნენ 2, 3 და 4 წონით ნაწილ ქვისის და ხრეშის ნარევებს, ე.ი. მშრალი ბეტონის ნარევები შეიცავდნენ 33, 25 და 20% ცემენტს (სველ ბეტონზე კი ნაკლებს), რაც მ³ მშრალი ბეტონის ნარევზე შეადგენდა დაახლოებით 400 და 500 კგ-ს (1:3 და 1:4, ცემენტი:შემვსები, შეფარდების დროს).

პორტლანდცემენტის ასეთი ხარჯები მიღებული იყო ლილოს რკინაბეტონის ქარხანაში, სადაც მზადდებოდა სამელიორაციო სისტემების დარები, ცენტრიფუგი-რებული მილები და წყლის არხის ფილები (წინასწარ დაძაბული არმატურით).

როგორც ცხრ.1-დან ჩანს ბეტონის სიმტკიცეები 1 დღის გამაგრების შემდეგ დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან (ამ ორი ქარხნის ცემენტების თვისებებიდან გამომდინარე), მაგრამ შემდეგ დღეებში ეს განსხვავება უფრო საგრძნობია.

ცემენტის ხარჯის შემცირების შემთხვევაში (1:4) კასპის ცემენტზე დაყალიბებული ბეტონის მარკა შეადგენს 400-ს, ხოლო რუსთავის რიგით სამშენებლო ცემენტზე კი – 300-ს (აქტიურობა 340 კგ/სმ²).

კასპის სეპარატორიანი ცემენტი უმჯობესია იგივე კასპის რიგით სამშენებლო ცემენტზე (სიმტკიცის გათვალისწინებით), მაგრამ სეპარატორი არ იძლევა გამორჩეული თვისებების მქონე ცემენტების მიღების საშუალებას.

აღნიშნული შედგენილობის ბეტონების სიმტკიცეები დაახლოებით 2-2,5 –ჯერ ნაკლებია, ვიდრე ცემენტის ცომის (1:0) სიმტკიცეები. ეს მაჩვენებელი არ არის მუდმივი, რადგან ერთიდაიგივე შედგენილობის მშრალი ბეტონის ნარევი სხვადასხვა წყალ-ცემენტის ფარდობის დროს (წ/ც, В/Ц) იძლევა განსხვავებულ შედეგებს, რაც მეტია წყალი, მით ნაკლებია სიმტკიცე.

**1.2. რუსთავის სწრაფმაგრებადი ცემენტის ბაზაზე
მიღებული ბეტონის თვისებები
(დამზადებულია ბეტონის დარის მოდელი)**

ცხრილში 2 მოცემულია „პაიდელბერგცემენტის” რუსთავის ცემენტის ქარხნის სწრაფმაგრებადი ცემენტის დამ ის ბაზაზე მიღებული ბეტონის ორი შედგენილობის (1:2, 1:3, ცემენტი:შემცვების ნარევი, ქვიშა+ღორლი) თვისებები. ქვიშის ფრაქცია იყო 5 მმ-მდე, ღორლის 8-22 მმ. ბეტონის ნიმუშები 2 დღე-დამე მაგრდებოდა პაერზე, შემდეგ კი-წყალში. ცემენტის ნიმუშები 1 დღე-დამე მაგრდებოდა პაერზე (სინესტეზი), შემდეგ კი – წყალში.

ცხრილი 2

რუსთავის სწრაფმაგრებადი ცემენტის ბაზაზე მიღებული ბეტონის თვისებები

№	ბეტონის შედგენილობა მასური წილი			წ/ც	სიმტკიცის ზღვარი, კგ/სმ ² , დღე-დამეში							
					ღუნვაზე			კუმშვაზე				
	ცემენტი	ქვიშა	ღორლი		2	7	28	1	2	3	7	28
1	1	–	–	0,25	54	80	–	440	580	710	820	1075
2	1	1	1	0,48	47	58	72	–	290	310	485	550
3		1	2	0,45	40	51	62	–	220	280	405	510

გარდა ნიმუშებისა, რომლებიც გამოიცდებოდა ღუნვაზე და კუმშვაზე, ბეტონი (1:3) გამოყენებული იყო აგრეთვე საირიგაციო სისტემის დარის მოდელის დასამზადებლად (სურ. 1).



სურ. 1. სწრაფმაგრებადი ცემენტის ბაზაზე მიღებული ბეტონით დამზადებული დარის და ფილის მოდელები

როგორც ცხრ. 2-დან ჩანს ცემენტის ცომის ერთი დღე-დამის განმავლობაში ჰაერზე (სინესტეში) გამაგრების შემთხვევაში დუნგაზე პქონდა სიმტკიცე 54, ხოლო კუმშვაზე 440 კგძ/სმ², ე.ი. დუნგაზე სიმტკიცე შეადგენდა 8-ჯერ ნაკლებს, ვიდრე კუმშვაზე.

ამ ცემენტის ცომის (1:0) სიმტკიცე კუმშვაზე 2 დღეში შეადგენდა 580, ხოლო ბეტონის (1:3, ქვიშა-დორლის ნარევით) 220 კგძ/სმ², ე.ი. ბეტონის სიმტკიცე კუმშვაზე იყო 2,6-ჯერ ნაკლები, ვიდრე ცემენტის ცომის, დუნგაზე კი 1,3-ჯერ ნაკლები.

ამგვარად, ბეტონის ნარევში ცემენტის ხარჯის შემცირება უფრო მეტია, ვიდრე ამ ბეტონის სიმტკიცის ვარდნაა ცემენტის ცომთან შედარებით.

ბეტონის სიმტკიცე დუნგაზე 28 დღე-დამის შემდეგ შეადგენდა 8,2 –ჯერ ნაკლებ სიდიდეს, ვიდრე – კუმშვაზე.

28 დღე-დამის შემდეგ ბეტონის (1:3) სიმტკიცე კუმშვაზე (510 კგძ/სმ²) იყო 2,1 ჯერ ნაკლები, ვიდრე ცემენტის ცომის (1075 კგძ/სმ²).

ამგვარად, რუსთავის ცემენტის ბაზაზე შეიძლება მიღებულ იქნეს სწრაფ-მაგრებადი ბეტონი 2 დღე-დამის განმავლობაში გამყარების შემდეგ სიმტკიცით კუმშვაზე 220 კგ/სმ², ხოლო 28 დღეში 500 მარკით (1:1:2, ცემენტი:ქვიშა:დორდის შედგენილობის დროს).

1.3. სწრაფმაგრებადი ბეტონის თვისებები ქვიშის მცირე რაოდენობით შემცველობის შემთხვევებისთვის (დამზადებულია ბეტონის მილის მოდელი)

ადრე ჩატარებული კვლევების საფუძველზე დადგენილია, რომ რაც უფრო მცირეა ქვიშია მარცვლების ზომა და რაც უფრო მეტია ქვიშის რაოდენობა დუღაბში, მით უფრო ნაკლებია გაფართოების სიდიდე ცემენტის ცომთან შედარებით. მსხვილი შემვსები ცემენტის გაფართოების სიდიდეზე ახდენს ნაკლებ გავლენას.

აღნიშნულის გამო ბეტონში შეტანილია მცირე რაოდენობის ქვიშა (1:0,2:2 და 1:0,2:3) და ასეთი ბეტონის თვისებები მოცემულია ცხრილში 3.

გამოყენებული იყო რუსთავის ცემენტი, რომელსაც ჰქონდა მაღალი სიმტკიცე როგორც 1, ასევე 28 დღეში. შემვსების ფრაქციის ზომებია 8-22 მმ, ქვიშის კი – 5 მმ-ზე ნაკლები.

ცხრილი 3

**სწრაფმაგრებადი მაღალი მარკის (600, 700) ბეტონები ქვიშის მცირე
შემცველობით**

№	ბეტონის შედგენილობა მასური წილი			შ/ც	სიმტკიცის ზღვარი, კგ/სმ ² , დღე-დამუში							
					ლუნგაზე				კუმშვაზე			
	ცემენტი	ქვიშა	ლორდი		2	7	28	1	2	3	7	28
1	1	–	–	0,26	–	–	–	435	505	680	800	1110
2	1	0,2	2	0,46	44	51	58	220	308	374	530	710
3	1	0,2	3	0,44	31	42	48	160	215	310	405	630

ბეტონის მშრალი ნარევი (1:0,2:3) შეიცვალა დაახლოებით 476 კგ ცემენტს მ³-ზე (სველი ნარევი კი – დაახლოებით 450 კგ/მ³), რაც გავრცელებული ხარჯია სამელიორაციო სისტემების ნაკეთობების წარმოებებში.

დაყალიბებული იყო ბეტონის მილის მოდელი ზომებით: D_{გარეთა} – 20, D_{შიგა} – 10, სიგრძე – 20 სმ. (სურ. 2, 3, 4).



სურ. 2. ბეტონის მილის მოდელი



სურ.3. ბეტონის მილის მოდელები



სურ.4. აწყობილი ბეტონის მილის მოდელი

სწრაფმაგრებადი ცემენტის და ბეტონის გამოყენება იძლევა საშუალებას, რომ სწრაფად გავათავისუფლოთ მიღი ფორმიდან, რათა გაიზარდოს ფორმების ბრუნვადობა (ე.ი. გამოყენების სიხშირე), რაც მეტად მნიშვნელოვანია, რადგან იზრდება წარმოების სიმძლავრე ძვირადღირებული ლითონის სპეციალური ფორმების მცირე რაოდენობით არსებობის შემთხვევებშიც კი.

ჩვენ შემთხვევებში პლასტიური ბეტონის ნარევით და ვიბრომაგიზე დაყალიბებული მიღის მოდელი გათავისუფლებული იყო ფორმიდან 4-5 საათში (შეორთქმლის გარეშე), რაც ძლიერ საინტერესოა მრეწველობაში გამოყენების თვალსაზრისით.

როგორც ცხრ. 3-დან ჩანს გამოყენებული იყო ცემენტი („ჰაიდელბერგის” რესთავის ცემენტის ქარხნიდან) მაღალი სიმტკიცით 1-28 დღე-დამეში, რომელიც იძლევა საშუალებას, რომ მცირე რაოდენობის ქვიშის გამოყენების შემთხვევაში მივიღოთ სწრაფმაგრებადი ბეტონი (1 დღე-დამეში 160-220 კგძ/სმ², სიმტკიცით კუმშვაზე), მაღალი მარკით (600-700 კგძ/სმ²) 28 დღე-დამეში.

ერთ დღე-დამეში ცემენტის ცომის სიმტკიცე 2,7 – ჯერ მეტია ბეტონის სიმტკიცეზე, 28 დღე-დამეში კი 1,7 – ჯერ (ბეტონი 1:3,2).

ამგვარად, ქვიშის მცირე რაოდენობით და მაგარი ღორდის შემცველობის შემთხვევაში შეიძლება მივიღოთ მაღალი მარკის (600, 700) სწრაფმაგრებადი ბეტონები (1 დღე-დამეში 160-220 კგძ/სმ²), რაც მეტად მნიშვნელოვანია ბეტონის და რკინაბეტონის ნაკეთობების და კონსტრუქციების წარმოებებისთვის.

1.4. არმირებული რკინაბეტონის ფილის მოდელი

სწრაფმაგრებადი ცემენტის და ბეტონის ბაზაზე

სამელიორაციო და ჰიდროტექნიკური სისტემების წყლის არხები და წყალსაცავები უმეტესად მოპირკეთებულია დიდი ზომის წინასწარ დაძაბული რკინაბეტონის ფილებით. სატრანსპორტო, ჰიდროტექნიკური და მეტროპოლიტენის გვირაბები ამოგებულია ტიუბინგებით (მტკვარ-ჰესის გვირაბის ტიუბინგებისთვის დამზადებულია ფორმები). ამიტომ საინტერესოა სწრაფმაგრებადი ცემენტის და ბეტონის გამოყენება ფილების და ტიუბინგების მოდელის დასამზადებლად.

სწრაფმაგრებადი ცემენტის და ბეტონის თვისებები არმირებული ფილას
მოდელის დასამზადებლად

№	ბეტონის შედგენილობა მასური წილი			წ/ტ	სიმტკიცის ზღვარი, კგძ/სმ ² , დღე-დამეში						
	გუმშვაზე										
	ცემენტი	ქვიშა	დორდი		1	2	3	7	28		
1	1	–	–	0,45	440	680	810	840	1075		
2	1	0,5	2		0,46	210	260	305	375	445	

ცემენტის და ბეტონის თვისებები მოცემულია ცხრ. 4.

რკინაბეტონის ფილა (სურ.1) ზომებით 32X47 სმ, სისქით 5 სმ, არმირებული იყო 5 მმ-იანი 12 ცალი არმატურით, მათგან 6 ცალი გრძელი არმატურა ჩაწყობილი იყო სიგრძეზე, ხოლო 6 ცალი მოკლე არმატურა – სიგანეზე. ფილა პლასტიკური ბეტონით დაყალიბდა ვიბრომაგიდაზე.

ცხრ. 4-დან ჩანს, რომ რუსთავის ცემენტი და მის ბაზაზე დამზადებული ბეტონი მაგრდებიან სწრაფად და აქვთ მაღალი სიმტკიცე. განსაკუთრებული აღნიშვნის დირსია, რომ 1, 2 და 3 დღის გამაგრების შემდეგ ბეტონის სიმტკიცე შეადგენს 210, 260 და 305 კგძ/სმ².

ასეთი სწრაფმაგრებადი და მაღალი მარკის ბეტონების გამოყენება იძლევა საშუალებას, რომ დავაჩქაროთ მშენებლობის ტემპი, ხელი შევუწყოთ საქართველოს სამთავრობო პრიორიტეტული მიმართულებების სწრაფ შესრულებას, ეკონომიკის აღმავლობას და მოსახლეობის დასაქმებას.

ამგვარად, უჯდომადი ცემენტების გამოყენებას დიდი პერსპექტივა გააჩნია უბზარებო (ან მცირებზარებიანი) წყალგაუმტარი ბეტონების მისაღებად, განსაკუთრებით, პიდროტექნიკურ-სამელიორაციო-წყალმომარაგების სისტემებში.

II ნაწილი

2. გაფართოებადი პრეს-ცემენტების და პრეს-ბეტონების მიღება

გაფართოებადი ბეტონის (ბბ) მისაღებად საჭიროა გამოყენებულ იქნეს მასზე ბევრად მეტად გაფართოებადი ცემენტი (ბც), ხოლო ამ უკანასკნელის მისაღებად კი – მასზე კიდევ უფრო მეტად გაფართოებადი კომპონენტი (ბპ).

მზა დაფქული გაფართოებადი კომპონენტი (ბპ) ემატება მზა საქართვის პორტლანდცემენტს სასურველი რაოდენობით (ცემენტის ქარხანაში, ან დაფქვის საწარმოებში, ან მშენებლობაზე ლია პოლიგონებზე და სხვა) იმის მიხედვით თუ როგორი სიდიდის გაფართოების ცემენტი და ბეტონი ესაჭიროება მომხმარებელს.

ხშირ შემთხვევაში (ცვალებადი გარემო პირობების გათვალისწინებით) შესაძლებელია უმჯობესი იყოს, რომ მშენებელმა თვითონ შეარჩიოს ადგილზე (სამშენებლო დაბორატორიაში) კონკრეტულ ნაყიდ პორტლანდ ცემენტს რამდენი დაუმატოს ბპ, რომ მიიღოს სასურველი ბც და ბპ. უდიმივი და მასიური (ბევრი) გამოყენების შემთხვევებში ალბათ უმჯობესი იქნება ბც-ის დამზადება ცემენტის ქარხანაში.

წყალგაუმტარი ნაკეთობების (დარები, მიღები, გვირაბის ტიუბინგები, არხის ფილები და სხვა) დასამზადებლად ამჟამად გამოიყენება ძვირადღირებული დიდი ზომის ლითონის ფორმები, რომლებიც მათში დაყალიბებულ რკინაბეტონის ნაკეთობებთან ერთ და განიცდიან წყლის ორთქლით ხანგრძლივ დამუშავებას (5-10 საათი და მეტი), რათა ბეტონმა მიიღოს ისეთი სიმტკიცე, რომ შესაძლებელი იყოს ნაკეთობს ამოღება ფორმიდან და – ფორმის ხშირი გამოყენება – უმეტეს შემთხვევაში ამისათვის საჭიროა 1 დღე-დამუ (ე.ი. ერთ ფორმაში ერთი ნაკეთობა მიიღება ერთ დღეში, რაც ძალიან ცოტაა).

პრეს-ცემენტის და პრეს-ბეტონის გამოყენება გამოზნულია იმისთვის, რომ საქვაბეების (ე.ი. წყლის ორთქლის) გარეშე ერთ დღეში ერთ ფორმაში მივიღოთ მინიმუმ ერთი აღნიშნული ნაკეთობა, რადგან საქვაბეების მუშაობა მოითხოვს სათბობის და ელექტროგიის მუდმივ დიდ ხარჯს, მომსახურე კვალიფიციური მუშაკების გამოყენებას, დიდ კაპიტალდაბანდებას და სხვა ხარჯებს, რაც აძვირებს პროდუქციას. არდა ამისა, დიდი ნაკეთობების შორ მანძილზე გადატანა ხარჯებთან არის დაკავშირებული.


აღნიშნული ნაკეთობების დამზადება დია პოლიგონებზე მათი გამოყენების სფეროს სიახლოვეს (საქვაბების გარეშე) მოიტანს საკმაოს მაღალ მოგებას.

2.1. მძლავრი პერმეტული ახალი სახის ფორმები, რომლებიც ზღუდავენ ცემენტის და ბეტონის (ბც და ბბ) გაფართოებას ყველა (სამი) მიმართულებით


დიდი გაფართოებას მქონე ცემენტები და ბეტონები (ბც, ბბ) ყოველთვის უნდა მუშაობდნენ 2- და 3- ლერდა მიმართულებით გაფართოების შემზღუდავ გარემოში თუ საჭიროა მაღალი სიმტკიცის და წყალგაუმტარებელი ნაკეთობების მიღება ან ნაგებობების მშენებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში თავისუფალი გაფართოების პირობებში მათში შეიძლება გაჩნდეს ბზარები, რაც გამოიწვევს დაბალი სიმტკიცის და წყალგამტარი ბეტონის მიღებას.

იმისათვის, რომ ერთ დღეში ერთ ფორმაში მივიღოთ დიდი ზომის ნაკეთობა (საქვაბის და წყლის ორთქლის გარეშე) საჭიროა ბეტონის სიმტკიცე კუმშვაზე იყოს მინიმუმ $100-200$ კგ/სმ² (ნაკეთობის ზომების მიხედვით). ღუნვაზე მუშაობის გაზრდისთვის საჭიროა არმატურის (განსაკუთრებით კი წინასწარ დაძაბული არმატურის) გამოყენება.


აღნიშნული ნაკეთობების მოდელების დასამზადებლად შექმნილია ლითონის მძლავრი ყოველმხრივ პერმეტულად დახურული ფორმები (ნახ. 1-16). ამ ფორმებშია დაყალიბებული დარები, მიღები და სიმტკიცეზე გამოსაცდელი ნიმუშები (5X5X5 სმ).




ნახ. 1. პრესფორმა 50X50X50 ბრიკეტისათვის




ნახ. 2. ქიხარი




ნახ. 3. ძირი




6a. სახურავი




6a. გვერდი




ნახ. 6. პრესფორმა მილისათვის




ნახ. 7. პრესფორმა მილისათვის



ნახ. 8. პრესფორმა 50X50X50 ბრიკეტისათვის




ნახ. 9. ტესტი




6ას. 10. ფილა ზედა


6ას. 11. გვერდითი კედელი



6ას. 12. ფილა ქვედა




ნახ. 13. პრესფორმა დარისათვის



ნახ. 14. სახურავი

ნახ. 15. ნახევარწრე ზედა და ქვედა



ნახ. 16. სახურავი გვერდითი

2.2. გაფართოებადი კომპონენტების, ცემენტების და ბეტონების მიღება და მათი თვისებები

როგორც უკვე იყო აღნიშნული, გაფართოებადი ბეტონის (ბბ) მისაღებად უნდა გამოვიყენოთ მასზე ბევრად უფრო მეტი გაფართოების მქონე ცემენტი (ბც) და კიდევ უფრო მეტი გაფართოების მქონე კომპონენტი (ბც), რომელიც ემატება ან რიგით პორტლანდ ცემენტს (ცალკე) ან ბეტონს უშუალოდ მშენებლობაზე.

გპ-ის მისაღებად გამოყენებულია ცემენტის ქარხნებში არსებული ადგილობრივი ნედლეული მომზადებული კაზმი ლაბორატორიაში (მიმართულებაზე, კათედრა №35) გამოიყენება ბრიკეტების დასამზადებლად, რომლებიც გამოიწვება სილიტის ღუმელში 1100, 1200, 1300 და 1350°C -ზე. გამომწვარი მასა იფქვება ბურთულებიან წისქვილში და გამოიყენება რიგით სამშენებლო პორტლანდ-ცემენტზე დანამატად უჯდომადი და გაფართოებადი პრეს-ცემენტების და პრეს-ბეტონების მისაღებად. შესწავლილია მრავალი ბპ-ის თვისებები ქვევით მოცემულია ერთ-ერთი მათგანის თვისებები, რომელიც გამომწვარია 1350°C -ზე კერძოდ: ჰაერზე გაფართოება შეადგენს 1 დღე-დამეში 33, 2 დღ.-45, 3 დღ.-53, 7 დღ.-80%-ს. ეს გვა დაემატა რიგით პორტლანდცემენტს 5, 10, 20 და 30%-ის რაოდენობით.

ცხრილში 5 მოცემულია ბც-ის თვისებები, რომელიც შეიცავს მზა ნაყიდ პორტლანდცემენტს 5 და 10 % ბპ -ის დანამატით (20 და 30% დანამატი აფართოებს ცემენტს 10%-ზე მეტად, რაც არასასურველია დასახული მიზნისთვის, ამიტომ ცხრილში არ არის მოცემულია მათი თვისებები).

ცხრილი 5

გაფართოებადი პრეს-ცემენტების თვისებები 5 და 10% გაფართოებადი
კომპონენტის შემცველობით

№	ბპ-ის შემცველობა ბც-ში, %	წ/ც	გაფართოება, %, დღე-დამეში				სიმტკიცე კუმულატიურული მაგისტრული (შეუზღუდავი) გაფართოების პირობებში, კგ/სმ ² , დღე			
			1	3	7	28	1	3	7	28
1	—	0,26	—	—	—	—	300	640	745	935
2	5	0,26	0,75	0,95	1,35	1,50	310	500	610	680
3	10	0,28	1,38	2,80	4,75	4,95	270	350	420	450

შენიშვნა: ნიმუშები 1 დღე-დამე მაგრდებოდნენ პაერზე, შემდეგ კი - წყალში.

როგორც ცხრ. 5 –დან ჩანს პორტლანდცემენტის ცომი 1 დღე-დამეში იძლევა საკმაოდ მაღალ სიმტკიცეს, რომელსაც არ ჩამორჩება გაფართოებადი ცემენტი 5% გაფართოებადი კომპონენტის (ბ) შემცველობით, მიუხედავად საკმაო გაფართოებისა (0, 75% ერთ დღე-დამეში).

ბო 10% ბპ-ის შემცველობით ხასიათდება დიდი გაფართოებით 1,38-4,95%, ამიტომ მისი სიმტკიცე კუმულაციური თავისუფალი გაფართოების ნიმუშის გამოცდის შემთხვევაში ნაკლებია, ვიდრე პორტლანდცემენტის (პც), მაგრამ თუ ნიმუში დაყალიბებულია და მაგრდება 3-ლერძა მიმართულებით გაფართოების შემზღვდავ ახალ მძლავრ ლითონის ფორმაში, მაშინ მისი სიმტკიცე არ ჩამორჩება პც-ის სიმტკიცეს და შეადგენს 325 და 955 კგ/მ² (1 და 28 დღე-დამეში). ამასთანავე იგი ავითარებს დიდ წნევას ფორმაზე, თვითონ კი ძლიერ მკვრივდება (იტკეპნება, მიიღება პრეს-ცემენტი) და ხდება წყალგაუმტარი.

აღნიშნული პრეს-ცემენტების ბაზაზე მიღებული პრეს-დუღაბების და პრეს-ბეტონების თვისებები მოცემულია შემდეგ პარაგრაფში.

2.3. პრეს-ცემენტების ბაზაზე პრეს-დუღაბის და პრეს-ბეტონის მიღება

გაფართოებადი კომპონენტების (ბ) და ცემენტები (ბც) მიღება საჭიროა გაფართოებადი დუღ ბის და ბეტონის მისაღებად, საბოლოოდ კი წყალგაუმტარი მკვრივი ბეტონის და რკინაბეტონის ნაკეთობების დასამზადებლად და ნაგებობების მშენებლობისთვის.

მიტომ აღნიშნული გაფართოებადი კომპონენტების და ცემენტების ბაზაზე დამზადებულია მრავალი შედგენილობის დუღ ბი და ბეტონი, ზოგიერთი მათგანის თვისებები მოცემულია ცხრილში 6, სხვების კი – მის გარეშე ტექსტში.

მაგალითი-1. თუ გვინდა, რომ მივიღოთ ბეტონი, რომლის გაფართოება იქნება 0,1 -0,25, მაშინ უნდა გამოვიყენოთ ბც №2 (ცხრ.5) და მისი შემცველობა ბეტონში უნდა იყოს 450-500 კგ/მ³. ასეთი ბეტონის სიმტკიცე 1 და 2 დღესI შეადგენს

არა ნაკლებ 100 და 200 კგძ/სმ², მაგრამ მისი გამაგრება უნდა მოხდეს 2- ა 3 – ლერძა მიმართულებით გაფართოების შემზღვდავ მძლავრ ლითონის ფორმაში.

მაგალითი-2 თუ გვინდა, რომ მივიღოთ დიდი წნევის მქონე ძლიერი ბეტონი, რომლის გაფართოება იქნება 0,5 - 1,0 %, მაშინ უნდა გამოვიყენოთ გვ №3 (ცხრ.5) და მისი ხარჯი მ³ ბეტონში უნდა იყოს, ასევე 450-500 კგ. ასეთი დიდი გაფართოების მქონე ბეტონი უნდა დაყალიბდეს 3-ლერძა კ.ი. ყველა მიმართულებით გაფართოების შემზღვდავ მძლავრ ლითონის ფორმაში, სადაც იგი გამაგრდება, გამკვრივდება, იქნება წყალგაუმტარი და მაღალი სიმტკიცის (100-200 კგძ/სმ², 2-3 დღეში), კ.ი. ასეთი ბეტონი თვითონ დაწესებავს თავის თავს მძლავრ ჰერმეტულ ფორმაში, ამიტომ მას გუწიდეთ პრეს-ბეტონი.

ცხრილში 6 მოცემულია სხვადასხვა შედგენილობის (1:1, 1:2, 1:3) დუღაბის გაფართოების სიდიდეები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ბეტონის შედგენილობაში ქვიშის და ცემენტის შეტანის რაოდენობის, ქვიშის მარცვლების ზომის, ცემენტის გაფართოების, წ/ც ფაქტორის გათვალისწინებით. რაც უფრო წვრილია ქვიშის მარცვლები, მით უფროს ნაკლებია დუღაბის გაფართოება (სხვა ერთნაირ პირობებში). გამოყენებული ქვიშა იყო წვრილმარცვლოვანი.

ცხრილი 6

სხვადასხვა შედგენილობის დუღაბის გაფართოება
(წვრილმარცვლოვანი ქვიშის ბაზაზე)

№	დუღაბის შედგენილობა		წ/ც	თავისუფალი გაფართოება, %, დღე-დამეში			
	ცემენტი	ქვიშა		1	3	7	28
1	1	–	0,26	1,38	2,80	4,75	4,95
2	1	1	0,33	1,02	2,10	2,70	3,40
3	1	2	0,35	0,75	1,15	1,55	2,05
4	1	3	0,36	0,30	0,65	0,85	1,20

შენიშვნა. ნიმუშები ერთი დღე-დამე მაგრდებოდნენ ჰაერზე, შემდეგ კი – წყალში.

როგორც ცხრილი 6-დან ჩანს გაფართოებადი ცემენტის ნორმალური სისქის ცომი (1:0) ერთ დღეში ჰაერზე ფართოვდება 4,6-ჯერ უფრო მეტად, ვიდრე დუღაბი

1;3, 28 კი – 4,1 –ჯერ მეტად, ხოლო 1:1 შედგენილობის დუღაბთან შედარებით, შესაბამისად, 1,35-ჯერ და 1,45-ჯერ მეტად. რაც მეტია გამაგრების დრო, მით ნაკლებია ფარდობითი განსხვავება გაფართოების სიდიდეებს შორის ცემენტის ცომსა და დუღაბს შორის. გაფართოების აბსოლუტურ სიდიდეებს შორის კი ეს განსხვავდება თანდათან მატულობს.

ბეტონის მსხვილი შემცვებიც (ღორდი, ხრეში) ამცირებს ცემენტის გაფართოებას, ამიტომ ბეტონის გაფართოების სასურველი სიდიდე შერჩეული უნდა იყოს ექსპრიმენტული გზით კონკრეტული ქვიშის და ღორდის (ხრეშის) გამოყენების შემთხვევებისთვის.

დუღაბი 1:2-გან დაყალიბებული იყო ნიმუშები 5X5X5 სმ 3-დერბა მიმართულებით გაფართოების შემზღვდავ ლითონის მძლავრ ახალ ჰერმეტულ ფორმაში კუმშვაზე სიმტკიცის განსაზღვრისთვის, რამაც 2 დღეში შედაგინა 152 კგმ/სმ². ასეთი სიმტკიცის დუღაბი (და ბეტონი) შეიძლება ამოღებულ იქნეს ფორმიდან (ყალიბიდან) სამრეწველო პირობებში (საქვაბის და წყლის ორთქლის გამოყენების გარეშე).


ყველა აღნიშნული დუღაბის და ბეტონის სიმტკიცე 28 დღე-ლამის გამაგრების შემდეგ შეადგენს 300-500 კგმ/სმ² და მეტსაც.

წარმოდგენილ სამუშაოში ძირითადი ყურადღება ექცევა ბეტონის სიმტკიცეს 1-2 დღის განმავლობაში, რათა სამრეწველო დიდი ზომის რეალური ნაკეთობა (დარი, მილი, ფილა, ტიუბუნგი) ამოღებულ იქნეს ფორმიდან 1-2 დღეში (ორთქლის გამოყენების გარეშე).


თვითდაწესილი პრეს-ბეტონის გამოყენებას დიდი პერსპექტივა აქვს პიდროტექნიკურ-საირიგაციო-წყალმომარაგების სისტემებში დატკეპნილი ბეტონის მისაღებად (რისთვისაც ამჟამად გამოიყენება მძიმე ვიბრო-დამტკეპნი მექანიზმები).

დასკვნები


- დამუშავებულია გაფრთოებადი კომპონენტის (ბბ) და გაფრთოებადი ცემენტის (ბც) მიღების ტექნოლოგია ადგილობრივი რესურსების ბაზაზე. გკ-ის კაზმის გამოწვა წარმოებს $1100\text{--}1300^{\circ}\text{C}$ –ზე, რაც შეიძლება განხორციელდეს ცემენტის ქარხნების რეალურ მოქმედ მბრუნავ ღუმელებში. ბც შეიძლება მირებულ იქნეს ცემენტის ქარხნის წისქვილში ბპ-ის და კლინკერის ერთობლივი დაფქვით ან ბპ-ის და პორტლანდცემენტის ცალ-ცალკე დაფქვით და შემდგა კი იქვე მათი – შერევით. დაფქული გა შეიძლება შეერიოს მშენებლობაზე ბეტონის შემრევში ცემენტს და შემავსებლებს.
- მიღებულია უჯდომადი და უბზარებო სწრაფმაგრებადი და მაღალი მარკის ბეტონი კუმშვაზე სიმტკიციტ: 1 დღე-დამის გამაგრების შემდეგ $150\text{--}180$, 2 დღეში – $200\text{--}300$, 3 დღეში – $300\text{--}500$ და 28 დღეში $500\text{--}700$ კგ/სმ 2 .
- მიღებულია დიდი გაფართოების მქონე პრეს-ცემენტები და პრეს-ბეტონები, რომლებიც 3 – ღერძა მიმართულებით გაფართოების შემზღვდავ მძლავრ ლითონის ფორმებში (შექმნილია აღნიშნული სამუშაოებისთვის სპეციალურად აწყობილი სახით ნაჩვენებია სურ. 5, 6, 7, 8), განიცდიან თვითდატკეპნას, გამკვრივებას, იძენენ წყალგაუმტარებლობის თვისებას და მაღალ სიმტკიცეს გამაგრების პირველ დღეებში, რაც საჭროა დიდი ზომის ნაკეთობების ამოსაღებად ფორმიდან საქვაბეების და წყლის ორთქლის გამოყენების გარეშე, რომლებიც მოითხოვენ როგორც მაღალ კაპიტალდაბანდებას, ასევე საექსპლოატაციო მუდმივ სარჯებს სათბობზე, ელექტროგიაზე, კვალიფიციური მომსახურე პერსონალის ხელფასზე და სხვა. ასეთი პრეს-ბეტონების დაყალიბება შეიძლება უშუალოდ მშენებლობის ახლოს და პოლიგონებზე, რაც შეამცირებს მზა ნაკეთობების გადაზიდვებს შორ მანძილებზე და ამისათვის გაწეულ სატრასპორტო ხარჯებს.




სურ. 5. პრესფორმა 50X50X50 ბრიკეტისათვის



სურ. 6. პრესფორმა 50X50X50 ბრიკეტისათვის



სურ. 7. პრესფორმა დარისათვის



სურ. 8. პრესფორმა მილისათვის

4. შერჩეული ცემენტებით და ბეტონებით დაყალიბებულია დარების, მილების, ფლების და გვირაბის ტიუბინგების მოდელები, რომლებიც ფორმებიდან ამოღებულია ერთი დღე-დამის განმავლობაში გამაგრების შემდეგ (წყლის ორთქლით დამუშავების გარეშე). მაღალი სიმტკიცის დარის მოდელი გადაცემულია შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანია“-ში, სადაც მან დაიმსახურა დადებითი შეფასება.

შპს „საქართველოს ბაერთიანებული
სამეცნიორაციო კისტების კომპანია“

LTD "UNITED MELIORATIVE
SYSTEM COMPANY OF EORGIA"

0114 ქ. თბილისი, II ხეივანის ქ. № 4 ტელ: (995 32) 2 45 77 50 ფაქსი: (995 32) 2 45 77 50 ფ. ა. რ. ა.
N4 Meore kheivani str. Tbilisi, Georgia, 0114 Tel: (995 32) 2 45 77 50 Fax: (995 32) 2 45 77 50

№ 01/02/01-377

15 03 2013 წ

საქართველოს სოფლის მეურნეობის
მინისტრის პირველ მოადგილეს
ბატონ დავით შერგავშიძეს

ასლი: სტუ-ს ხილიგატების ტექნილოგიის
მიმართულების (კათედრა N35)
ხელმძღვანელს ბატონ თამაზ გაბაძაძეს

ბატონო დავით,

განვიხილავთ თქვენი 2013 წლის 11 მარტის N01-01-13/1326 წერილი, თანდართულ
სტუ-ს ხილიგატების ტექნილოგიის მიმართულების (კათედრა N35) ხელმძღვანელის
22.02.2013 N6316 წერილთან და ბიზნეს გეგმასთან ერთად.


მოგახსენებთ, რომ საქართველოს მთავრობის დადგენილებით, მიმდინარე წელს
გათვალისწინებულ სარეაბილიტაციო სამუშაოებზე საპროექტო ორგანიზაციების მიერ
გარკვეული პროექტები დასრულებულია, გავლილი აქვს სახელმწიფო ექსპერტიზები და
მიმდინარეობს სატენდერო წინადადებების მომზადების პროცედურები, ნაწილი
პროექტები დამთავრების სტადიაშია, შესაბამისად 2013 წლის გაგმა და თანხები
გაწერილია.

შემოთავაზებული წინადადება ნამდვილად მისაღებია, ამიტომ აღნიშნული
საკითხი ჩვენი კომპანიის და სტუ-ს სპეციალისტებთან ერთად უნდა იქნეს განხილული,
შესწავლილი და შემდგომ პერიოდში გათვალისწინებული.

პატივისცემით
დირექტორი

3. კორტავა ჭავა

დანართი 2



ც. 35.

ც. 36.

ც. 7.

ГИДРОТЕХНИЧЕСКОЕ СТРОИТЕЛЬСТВО

1971

ИЗДАТЕЛЬСТВО «ЭНЕРГИЯ»

12

РАЦИОНАЛИЗАЦИЯ И ОБМЕН ОПЫТОМ

УДК 624.974.06:027.812

Расширяющийся бетон для строительства напорных гидротехнических туннелей

Кандидат техн. наук Т. Г. ГАБАДАДЗЕ и инженер И. Г. НЕРГАДЗЕ

от РЕДАКЦИИ

*Ниже публикуется статья о расширяющемся бетоне и о лабораторных испытаниях крашения его для строительства напорных гидротехнических туннелей.**Как нам сообщали из Министерства промышленности строительных материалов СССР, в целях разработки технологии производства таких цементов, анализа опытных партий и исследования их применения составлен координационный план на 1971--1973 гг.*

Нами получен алюмитовый цемент (АЦ) на базе портландцемента и алюминий-вокруга, обожженный при 600-700°C [1, 1, 2], а во его основе - расширяющийся бетон, который в строительном производстве может быть применен для изысканий или строительства самообжигаемых водонепроницаемых бетонных и железобетонных сооружений или модульных сооружений, а также для изысккивания и заложения расширяющиеся и изыскующие растворы могут быть применены для ремонта и усиления за бетонной оболочкой, в безусадочных растворах - для гидроизоляции зданий и сооружений и др.

В данной работе¹ нами обращено внимание на применение расширяющихся бетонов для строительства самообжигаемых бетонных напорных туннелей с целью увеличения их исходной способности, экономии металла, упрощения производства работ и др., что может дать большой технико-экономический эффект.

Заполнители из цементных, Русских карбонатов, примененные в строительстве Нарын-ГЭС, песок с модулем крупности 2,68 и гравий (щебень) с размерами зерен 5-20 мм; состав бетона 1:1,65:2,7.

¹ Работа выполнена в сотрудничестве с Тбилисгидропроектом по предложению проф. А. А. Ноеберадзе.

Предлагаемый алюмитовый напрягающий цемент (АЦ), в зависимости от состава и режима обжига алюмита, может расширяться до 5-15% и более. Бетоны с расходом 400 кг/м³ АЦ при температуре окружающей среды 5-20°C во влажных или водных условиях твердения могут расширяться до 0,5-3,5%. Расширение бетона полностью стабилизируется через 7-14 суток твердения. Указанные величины расширения бетона могут быть получены при В/f=0,5-0,6 в озере конуса от 5 г/л до получения полного расплава. Схватывание АЦ позволяет укладку бетонной смеси в опалубку через 30 минут после окончания перемешивания смеси с водой. При использовании ССБ в количестве 0,15% от веса цемента указанное время составляет 1-1,5 ч. При этом не ухудшаются прочность, расширение и самообжигание бетона.

Прочность бетона, расширяющегося до 0,2-2,0%, через месяц твердения без ограничения расширения составляет 100-200 кг/см². Чем больше расширение, тем меньше прочность бетона, однако со временем разность между ними уменьшается и наблюдается интенсивный рост прочности. При ограничении расширения бетона его прочность значительно больше, чем при твердении без ограничения расширения. Бетон с расширением до 3,5% через 28 суток твердения без ограничения расши-

рения был покрыт сплошными трещинами и имел при-
ность $36 \text{ кг}/\text{см}^2$, а при двухжаром ограничении рас-
тения — $142 \text{ кг}/\text{см}^2$ и трещина на нем не наблюдалась.

С целью выявления возможности применения указанного расширяющегося бетона для строительства самообжигатых бетонных ангарных туннелей были проведены следующие эксперименты.

Из указанного бетона с расходом АИЦ 400 кг/м³ при ВДЦ = 0,5; стальной обоймы² было сформировано колено. Бетон в колбе из обоймы выдержал без сердечника. Бетон покрылся пленкой окислами. Температура воздуха составляла 5°C (в среднем 10°C). Деформации обоймы измерялись утром и вечером термодатчиками электродиализации (11 шт.) с прибором АИД-1м. Размеры обоймы: диаметр 244 мм, толщина стенки 1,2 см, высота 20 см; размеры бетонной колонны: внутренний диаметр 221 мм, наружный 244 мм, толщина 10 см, высота 20 см.

Бетон в свободном виде расширился до 0,8%, что вызвало относительную деформацию обоймы на $20 \cdot 10^{-3}$; бетон при этом получил самообжигание $50,4 \text{ кг}/\text{см}^2$; удельный коэффициент упругого отпора обоймы K_0 состояния 208 $\text{kN}/\text{м}^2$. При использовании бетона с большим расширением можно получить стабильные обжатия большей величины.

Бетонное колено в стальной обойме, получившее самообжигание и $20,16 \text{ кг}/\text{см}^2$ (при $K_0 = 101 \text{ кН}/\text{м}^2$) показало трещины и фрактурирование втулок, выдержало внутреннее гидростатическое давление $17,04 \text{ кг}/\text{см}^2$. Это показывает, что при больших величинах самообжигания бетон в обойме или в другой упругой среде не держит гидростатическое давление большой величины.

Самообжигание бетонных колец было при твердении в воле и меньше во втулке, при влажном хранении получается трещинное разрушение. Величина самообжигания бетона, твердевшего в воле и в влажной средах, со временем не уменьшается, а бетона воздушного твердления уменьшается на $10-15 \text{ кг}/\text{см}^2$ до стабилизации, время стабилизации различно и зависит от величины самообжигания. Самообжигание бетонного колена с сердечником больше, чем без сердечника.


По полученным результатам отнесенными к дефор-
мации ($20 \cdot 10^{-3}$) стальной обоймы с диаметром 244 мм и другими характеристиках бетона и колонны определена несущая способность бетонных обделок ангарных туннелей по расчетным формулам, предложенным проф. А. А. Лосевергом³.

Несущая способность обделок ангарных туннелей ($\text{kN}/\text{см}^2$) из бетона на напрягающем цементе с учетом допускаемого в бетоне растягивающих напряжений определяется следующим уравнением:

$$P = \frac{8,5 + q_0 \left[2 + \frac{2}{m(2+m)} \right]}{1 + \frac{2(a-1)}{1+am(2+m)}}, \quad (1)$$

² Испытания в стальных обоймах проводились в лаборатории железобетона ТИИСГЭИ, руководимой проф. Г. Д. Чикрени с участием инженеров И. И. Ахаладзе и А. С. Васадзе.

³ Подробности о расчете в предложеных формулках приведены в отчете Грузинского горно-технического института.



Несущая способность бетонных обделок ангарных туннелей. Зависимость несущей способности бетонной обделки (P) от удельного коэффициента упругого отпора (K_0) породы:
а — при $m = 0,3$; б — при $m = 0,5$; 1 — на напрягающем цементе; 2 — на портландцементе; 3 — на известьянко-известковом цементе.

при недопущении в бетоне растягивающих напряжений —

$$P = \frac{q_0 \left[2 + \frac{2}{m(2+m)} \right]}{1 + \frac{2(a-1)}{1+am(2+m)}}, \quad (2)$$

а из бетона на обычном портландцементе по формуле

$$P = \frac{8,5}{1 + \frac{2(a-1)}{1+am(2+m)}}, \quad (3)$$

где $8,5 \text{ кН}/\text{м}^2$ — допускаемое напряжение в обделке при коэффициенте запаса, равном 2; q_0 — величина упругого отпора скальной породы (обоймы); m — относительная толщина обделки; a — фактор упругих характеристик обделки из породы.

На рисунке приводятся расчетные величины несущей способности бетонных обделок ангарных туннелей на напрягающем цементе и на портландцементе.

Эти данные показывают, что несущая способность бетонных обделок из напрягающим цементе в 2,3—7,5 раза выше, чем из портландцементе; несущая способность бетонных обделок из напрягающим цементе без учета их растягивающих напряжений в 1,3—6,8 раза больше, чем обделки из портландцементе с допускаемым напряжением на растяжение у внутренней поверхности обделки. Чем больше K_0 , тем больше эффект от применения напрягающего цемента. Поэтому применение расширяющихся бетонов с указанной целью более целесообразно в жестких скальных породах.

ЛИТЕРАТУРА

1. К. С. Кутателадзе, Т. Г. Габададзе, Н. Г. Нергава. Растворы и бетоны из напрягающим цементе с добавкой обожженного алюната. «Бетон и железобетон», 1979, № 5.
2. К. С. Кутателадзе, Т. Г. Габададзе, Н. Г. Нергава. Напрягающие цементы, содержащие алюнат, обожженный при 700°C . «Цемент», 1970, № 6.

